საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1007-03
02/07/2025

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტური კონკურსის - „გზავნილი ევროპას“ გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1- ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მ/შ, მაია დანელიას 2025 წლის 1 ივლისის N11217-35 სამსახურებრივი ბარათის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის N1665-02 26/06/2025 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ბოლონიის პროცესთან შეერთების 20 წლისთავის აღსანიშნავად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდეს სტუდენტური კონკურსი „გზავნილი ევროპას“, შემდეგი პირობებით:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარადგინონ სიმბოლური წერილობითი გზავნილი ევროპას, ინგლისურ ენაზე, რაც მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 600 სიტყვას. ნამუშევარს შეიძლება ჰქონდეს ესეს, წერილის ან ბლოგის ფორმა. ავტორს შეუძლია აირჩიოს ანალიტიკური ან მხატვრული სტილი, თუმცა ტექსტი უნდა ეხმიანებოდეს შემდეგ საკითხებს:

- რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს მონაწილეობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში;
- რა შესაძლებლობებს ქმნის ევროპული ინტეგრაცია;
- რა ღირებულებებს ეფუძნება ევროპული განათლება;
- როგორ ცვლის ევროპული გამოცდილება ქართულ უნივერსიტეტს;

• რა შეიძლება თქვას ევროპულ საზოგადოებასთან ქართველმა სტუდენტმა?

ბ) კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს;

გ) ნამუშევრის ფორმატი - PDF, Sylfaen შრიფტი, ზომა 12, ინტერვალი – ერთი, გვერდის მინდორი – Normal, A4;

დ) კონკურსის მონაწილემ განაცხადს უნდა დაურთოს თავფურცელი პირადი მონაცემებით (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, სასწავლო პროგრამა, კურსი);

ე) აკრძალულია გენერაციული AI-ის გამოყენება ტექსტის შესაქმნელად - გამოყენების შემთხვევაში ნამუშევარი ავტომატურად დისკვალიფიცირდება;

ვ) კონკურსის მონაწილემ ასევე უნდა წარადგინოს მოკლე CV.

ზ) შერჩევის პროცესი და ეტაპები:

ზ.ა) I ეტაპი: წარმოდგენილი ნამუშევრების განხილვა ჟიურის მიერ (განათლების, კულტურისა და ევროპული ინტეგრაციის მიმართულების წარმომადგენლები);

ზ.ბ) II ეტაპი: გასაუბრება საუკეთესო მონაწილეებთან.

ზ.გ) გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდება 5 გამარჯვებული, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას სასწავლო ვიზიტში ბრიუსელში 2025 წლის ოქტომბერში (თარიღი მოგვიანებით დაზუსტდება).

თ) ბრიუსელში მგზავრობისა და განთავსების ხარჯებს ფარავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ი) კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა შეავსოს სარეგისტრაციო ფორმა, ატვირთოს ნამუშევარი და CV, 1 ივლისიდან 16 ივლისის 23:59 საათამდე, შემდეგ ბმულზე: https://shorturl.at/nyRSk .

კ) კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 26 ივლისს.

2. კონკურსის შედეგად შერჩეული კონკურსანტების დაფინანსების მიზნით შესაბამისი წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ბრძანება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს განათავსოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაცია უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში.
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს.

ეკატერინე გაფრინდაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი